დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება N71

წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

(„**ხელშეკრულება“**) გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის:

- (შპს ნეიმსფეის.ჯი, 405253933) (შემდგომში„**რეგისტრატორი/მიმწოდებელი**“);

(1) (შპსMHPA, 404945164 შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე)

-) (შემდგომში„**რეგისტრანტი/შემსყიდველი**“).

რეგისტრანტი/შემსყიდველი და **რეგისტრატორი/მიმწოდებელი** ერთობლივად მოხსენებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.

ვინაიდან, **რეგისტრატორი/მიმწოდებელი** უზრუნველყოფს რეგისტრანტებისთვის **სარეგისტრაციო მომსახურების** გაწევას;

ვინაიდან, **რეგისტრანტმა/შემსყიდველმა** წარუდგინა **რეგისტრატორს/მიმწოდებელს** ელექტრონული სარეგისტრაციო განაცხადი **დომენური სახელის** დასარეგისტრირებლად, რომელი განაცხადიც აკმაყოფილებს **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების** პირობებს და **რეგისტრანტს /შემსყიდველს** სურს მიიღოს **სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრატორისგან/მიმწოდებლისგან**;

ვინაიდან, **რეგისტრატორმა/მიმწოდებელმა** დაადასტურა **რეგისტრანტის/შემსყიდველის** მიერ **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების** შესაბამისად წარდგენილი განაცხადი და წინამდებარე **ხელშეკრულებით** იღებს ვალდებულებას გაუწიოს **სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრანტს/შემსყიდველს**;

ვინაიდან, **რეგისტრანტი/შემსყიდველი** გაეცნო და ეთანხმება **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს** და **პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას,** რომლებიც წარმოადგენენ ამ **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

ვინაიდან, მხარეების სურვილია წინამდებარე **ხელშეკრულებით დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების** შესაბამისად განსაზღვრონ **რეგისტრატორის/მიმწოდებელის** მიერ **რეგისტრანტისთვისშემსყიდველისთვის** გასაწევი **სარეგისტრაციო მომსახურების** პირობები.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

- ტერმინთა განმარტება

- წინამდებარე **ხელშეკრულებაში** გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ამ **ხელშეკრულებაში** და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში** მინიჭებული მნიშვნელობა.
- შემდეგ ტერმინებს, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს კონტექსტი, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- „**ხელშეკრულება**“ ნიშნავს წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებას მისი ყველა დანართით;
- **„რეგისტრაციის საფასური”** აქვს **ხელშეკრულების** 4.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
- **„რეგისტრაციის განახლების საფასური”** აქვს **ხელშეკრულების** 4.2 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
- **„დომენური სახელი“** ამ **ხელშეკრულების** მიზნებისთვის ნიშნავს **რეგისტრანტის/შემსყიდველის** მიერ ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელს **: addiction.ge**

- ხელშეკრულების საგანი
  - **რეგისტრატორი/მიმწოდებელი** იღებს ვალდებულებას გაუწიოს **რეგისტრანტს/შემსყიდველს სარეგისტრაციო მომსახურება** მის ელექტრონულ განაცხადში მითითებულ შემდეგ **დომენურ სახელთან** დაკავშირებით: addiction.ge CPV72417000 -ინტერნეტდომენური სახელები)

- **დომენური სახელის** რეგისტრაციით **რეგისტრანტი/შემსყიდველი** იღებს **დომენური სახელით** სარგებლობის შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლებასიმ ვადითა და პირობებით როგორც ეს მოცემულია ამ **ხელშეკრულებაში** და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.**

- ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **რეგისტრანტის/შემსყიდველის** მიერ 4.1 პუნქტის შესაბამისად **რეგისტრაციის საფასურის** გადახდის მომენტიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით (ხელშეკრულება ძალაში შევიდეს 2022 წლის 22 თებერვლიდან 2023 წლის 22 თებერვლის ჩათვლით) ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 01 აპრილის ჩათვლით).

- იმ შემთხვევაში თუ ამ **ხელშეკრულების** ვადის ამოწურვამდე **რეგისტრანტი/შემსყიდველი** გადაიხდის **დომენური სახელის რეგისტრაციის განახლების საფასურს** მომდევნო რეგისტრაციის პერიოდისთვის, წინამდებარე **ხელშეკრულების** ვადა ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო რეგისტრაციის პერიოდით, 1 წლის ვადით, იმავე პირობებით. აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.

- რეგისტრაციის საფასური და გადახდის პირობები

- ერთი დომენური სახელის 1 კალენდარული წლით რეგისტრაციისთვის და **სარეგისტრაციო მომსახურების** მიღებისთვის **რეგისტრანტი/შემსყიდველი** ვალდებულია გადაუხადოს **რეგისტრატორს/მიმწოდებელს** 30 ლარი (ინვოისის საფუძველზე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (შემდგომში „**რეგისტრაციის საფასური**“).
- დომენური სახელის შემდგომი რეგისტრაციის პერიოდით რეგისტრაციის განახლების საფასური შეადგენს 30 ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (შემდგომში **„რეგისტრაციის განახლების საფასური”**).
- წინამდებარე ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების სურვილის შემთხვევაში **რეგისტრანტი/შემსყიდველი** იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. მუხლში მითითებული **რეგისტრაციის განახლების საფასური** ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

- მხარეთაუფლება-მოვალეობები

- **რეგისტრანტს/შემსყიდველს** უფლება აქვს:

  - მოსთხოვოს რეგისტრატორს/მიმწოდებელს წინამდებარე **ხელშეკრულებით** და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

- **რეგისტრანტი /შემსყიდველი ვალდებულია:**

  - გაეცნოს და შეასრულოს**დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს** და შესაბამის ინსტრუქციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე nic.ge;
  - დროულად გადაიხადოს **დომენური სახელის რეგისტრაციის** და **რეგისტრაციის განახლების საფასური** (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- მიაწოდოს **რეგისტრატორს/მიმწოდებელს** სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია;
- **რეგისტრატორის/მიმწოდებლის** მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს **რეგისტრატორს/მიმწოდებელს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით** განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია.
- კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი** ვალდებულებები;
- გამოიყენოს **დომენური სახელი** იმგვარად, რომ ასეთმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების, მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი ძალის მქონე აქტის დარღვევა.

- **ადმინისტრატორი უფლებამოსილია:**
  - მოსთხოვოს **რეგისტრანტს/შემსყიდველს** წინამდებარე ხელშეკრულებითა და **GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები** ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- **რეგისტრატორი/მიმწოდებელი ვალდებულია:**
  - გაუწიოს **რეგისტრანტს/შემსყიდველს სარეგისტრაციო მომსახურება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების** და ამ **ხელშეკრულების პირობების** დაცვით;
  - უზრუნველყოს **რეგისტრანტის/შემსყიდველის** მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

- მხარეთა განცხადებები და გარანტიები

- **რეგისტრანტი/შემსყიდველი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
  - მის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;
  - საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი არის მოქმედი;
  - მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა **ადმინისტრაციული საკონტაქტო პირისგან, ტექნიკური საკონტაქტო პირისგან, ბილინგ საკონტაქტო პირისგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის და არამხოლოდ, მათი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებასთან და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების მოთხოვნების შესრულებასთან დკავშირებით;**
  - **რეგისტრანტს/შემსყიდველს** აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს **დომენური სახელი**;
  - **რეგისტრანტი/შემსყიდველი** აკმაყოფილებს დომენური სახელის დასარეგისტრირებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

- **დომენური სახელის** რეგისტრაცია და გამოყენება, რამდენადაც ეს **რეგისტრანტისთვის/შემსყიდველისთვის** ცნობილია, არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე სამართლებრივი ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;
- **რეგისტრატორის/მიმწოდებელის** განცხადებები და გარანტიები:

  - **რეგისტრატორს/მიმწოდებელს** აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს **ხელშეკრულება** და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები.
  - **რეგისტრატორის/მიმწოდებლის** მიერ ამ **ხელშეკრულების** ხელმოწერა და შესრულება ა) არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს **რეგისტრატორის/მიმწოდებელის** მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის **რეგისტრატორი/მიმწოდებელი**; ბ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

- მხარეთაპასუხისმგებლობა

- **რეგისტრანტის/შემსყიდველის** მიერ **დომენური სახელის** არამართლზომიერი გამოყენების, მათ შორის ასეთი გამოყენების შედეგად მესამე პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში **რეგისტრანტი/შემსყიდველი** ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული ხარჯი ან/და მიყენებული ზიანი, როგორც ეს გათვალისწინებულია **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში**

- ხელშეკრულებისმოქმედებისშეწყვეტისსაფუძვლები

- ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

- მხარეთა შეთანხმება;
- ხელშეკრულების ვადის გასვლა.
- მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი

დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

- მარეგულირებელი კანონმდებლობა

- **რეგისტრანტსა/შემსყიდველსა** და **რეგისტრატორს/მიმწოდებელს** შორის ურთიერთობებზე და **ხელშეკრულებაზე** ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.
- ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული დავა მხარეებს შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- დავის ალტერნატიული მოგვარების წესი

- იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირდება **დომენური სახელი**, **რეგისტრანტი/შემსყიდველი** თანხმობას აცხადებს დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების ერთიან პოლიტიკაზე (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy "**UDRP**"), მათ შორის UDRP-ის ნორმებზე და დამატებით წესებზე, რომლებიც წარმოადგენს ამ დომენის რეგულაციის განუყოფელ ნაწილს. UDRP ძალაში მყოფი წესები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.namespace.ge
- **რეგისტრანტი/შემსყიდველი** თანხმობას აცხადებს, რომ UDRP-ის შესაბამისად დავები განიხილოს WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრმა. დავის განხილვის ენა უნდა იყოს ინგლისური.

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- **რეგისტრანტი/შემსყიდველი თანხმობას აცხადებს რეგისტრატორმა/მიმწოდებელმა რეგისტრანტის/შემსყიდველის** პერსონალური მონაცემები დაამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის და **პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის** შესაბამისად.
- **რეგისტრანტი/შემსყიდველი** თანხმობას აცხადებს **რეგისტრატორმა/მიმწოდებელმა** მისი პერსონალური მონაცემები გადასცეს **ადმინისტრატორს**.

- ხელშეკრულების სხვა პირობები

- ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ენოვან ვერსიებს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

- წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.
- ხელშეკრულების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და მათ გავლენა არ აქვთ ხელშეკრულების პირობების განმარტებაზე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

რეგისტრატორი

რეგისტრატორი/მიმწოდებელი შპს "ნეიმსფეის.ჯი"

ს/კოდი: 405253933

მომსახურე ბანკი: ს/ს ,,თი ბი სი ბანკი,,

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგ/ანგარიში: GE76TB7222736080100007

მის/იურიდიული ჟიული შარტავას 18

მის/ფაქტიური ჟიული შარტავას 18

საკ/ინფორმაცია 2 196 500

რეგისტრანტი

რეგისტრანტი/შემსყიდველი"MHPA"

შპს„ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ს/კოდი: 404945164

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგ/ანგარიში: GE75TB7810436020100002

მის/იურიდიული ქ. თბილისი ქავთარაძის ჩიხი N2

მის/ფაქტიური ქ. თბილისი ქავთარაძის ჩიხი N 2

საკ/ინფორმაცია 599 76 69 49

_____

დირექტორის მინდობილი პირი:

(ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის

რეგისტრაციის ნომრით N211360839,

ინდივიდუალური ნომერი #67824946626321)

ანა ლებანიძე

Ana Lebanidze 34001008506

Digitally signed by Ana Lebanidze
Date: 2022.03.01 04:56:06

_____

გენერალური დირექტორი:

ლაშა კილაძე

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2022.03.01 15:52:16 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№71; 01,03,2022წ.) ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესეთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ი. ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) ე. ნონიაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი) ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№71; 01,03,2022წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები) შპს „ნეიმსფეის.ჯისთან“.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი:

---------- /ი. ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:---------- /ე. ნონიაშვილი/

01.03.2022წ.

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2022.03.01 15:52:50 +04'00'